როგორ აღვნიშნოთ დედამიწის დღე

დისტანციური სწავლების პირობებში

ავტორი: **გიტა თვალაბეიშვილი**

უკვე 50 წელია დედამიწის დღე ყოველწლიურ ღონისძიებად იქცა და იგი 22 აპრილს აღინიშნება. ამ დღეს მსოფლიოს მასშტაბით (193-ზე მეტ ქვეყანაში) იმართება გარემოს დაცვის მხარდასაჭერი ღონისძიებები. წლების წინ მსოფლიოს საქართველომაც აუბა მხარი. ამ დღესთან დაკავშირებით იგეგმება სხვადასხვა ტიპის პროექტები თუ აქტივობები, რომლის მთავარ მიზანსაც დედამიწისთვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

„**ეკოლოგიური წიგნიერება** არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელს ხდის დედამიწის, როგორც საარსებო სივრცის მნიშვნელობის გაცნობიერებას; გარემოს მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გააზრებას. ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების მართებული მიდგომების გაზიარებას და მათ დაცვას ყოველდღიურ ცხოვრებაში; ეკოლოგიური სისტემების მოწყობისა და მათში მოქმედი კანონზომიერებების ცოდნას“ – ვკითხულობთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

ამრიგად, ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღ დამოკიდებულებას და მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, შეძლოს მონაწილეობა მის დაცვასა და აღდგენაში.

ბევრ მასწავლებელს ამ დღის აღნიშვნა შეიძლება ცოტა სხვაგვარად ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ დღეს არსებული გარემოებიდან გამომდინარე გეგმების შეცვლა და მოდიფიცირება მოუხდა დისტანციური სწავლების შესაბამისად.

მეც ასე მომიწია. მთელი კვირაა მე და ჩემი მოსწავლეები ვმუშაობთ აღნიშნულ საკითხზე. ეკოლოგიური წიგნიერების თემა ბევრად ფართო ცნებაა და სხვადასხვა საკითხს მოიაზრებს. ამიტომ გადავწყვიტე არეალი დამევიწროებინა და სამუშაო თემად „ხე და მისი მნიშვნელობა დედამიწელებისთვის“ შევარჩიე. გთავაზობთ რამდენიმე გაერთიანებულ აქტივობას.

გაკვეთილი შეიძლება საპრეზენტაციო მასალაში მარტივად აწყობილი პოსტერების განხილვით დავიწყოთ.

©განათლების e- სახლი

თქვენთვის სასურველ პოსტერებს მრავლად იპოვით ინტერნეტსივრცეში, თუმცა მასალა მწირია ქართულ ენაზე. ამიტომ გირჩევთ, მოძებნოთ ინგლისურენოვანი პოსტერები. ამით მოსწავლეებს უცხოურ ენაში გაწაფვაში დაეხმარებით . შეგიძლიათ მოაწყოთ დისკუსია და ბავშვებს სთხოვოთ, შექმნან მსგავსი ტიპის ქართულენოვანი ან ბილინგვური პოსტერები, რომელსაც ნებართვის შემდეგ, ინტერნეტსივრცეში განათავსებთ. წაახალისეთ, რომ ამით ისინი ქართულ ენაზე არსებულ მედიარესურსებს გაამდიდრებენ, თქვენ კი მათი მრავალენობრივი კომპეტენციის განვითარებას შეუწყობთ ხელს.





პოსტერების განხილვის შემდეგ, შეგიძლიათ აჩვენოთ მოკლე მედიარესურსი „ექვილიბრიუმი“ (2:39 წთ), სადაც ნათლადაა წარმოდგენილი ადამიანის ზემოქმედება ტყეზე გამოქვაბულის ყოფიდან დღემდე.

ფილმში ჩანს, როგორაა შესაძლებელი, და თან აუცილებელი, ამ დისბალანსის დროს, წონასწორობის შენარჩუნება. სთხოვეთ ბავშვებს, ისაუბრონ ამ ვიდეორგოლში ასახულ მთავარ პრობლემაზე და წერილობით ახსნან, რა არის მედია რესურსის მთავარი გზავნილი. ეს ხელს შეუწყობს მედიაწიგნიერების კომპეტენციის განვითარებას, რადგან მედიაწიგნიერება მოითხოვს მიღებული ან ჩვენ მიერ შექმნილი გზავნილების კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს. ასევე შეგიძლიათ მედიაგზავნილის საანალიზო კითხვების მიწოდებაც, რაც მათ გაუადვილებს საკითხზე მუშაობას.

©განათლების e- სახლი

მედიაგზავნილების ანალიზისთვის საჭირო მთავარი კითხვები		
აუდიტორია	ავტორი	ვინ შექმნა მესიჯი?
	მიზანი	რატომ შეიქმნა? ვინ არის სამიზნე აუდიტორია? საიდან იცი?
	ეკონომიკური საფუძვლები	ვინ დააფინანსა?
	გავლენა	ვინ შეიძლება ისარგებლოს ამ გზავნილით? ვინ შეიძლება დაზიანდეს ამ გზავნილით? რატომ შეიძლება იყოს ეს გზავნილი ჩემთვის მნიშვნელოვანი?
	პოზიცია	რა შეიძლება მოვიმოქმედო ამ გზავნილის საპასუხოდ?
გზავნილი და მნიშვნელობა	შინაარსი	რის შესახებაა გზავნილი?? რა იდეები, ღირებულებები, ინფორმაცია და/ან ხედვა ჩანს? ან იგულისხმება? ამ გზავნილში რა არის გამოტოვებული, რისი ცოდნაც მნიშვნელოვანი იქნებოდა?
	ტექნიკა	რა ტექნიკა გამოიყენეს? რატომ გამოიყენეს? როგორ უკავშირდება გზავნილს?
	ინტერპრეტაცია	სხვადასხვა ადამიანი ამ გზავნილს ერთნაირად გაიგებს? როგორია ამ გზავნილის ჩემეული ინტერპრეტაცია? რას ვსწავლობ ჩემ შესახებ, ჩემივე რეაქციიდან და ინტერპრეტაციიდან გამომდინარე?
გამოხატვა და სინამდვილე	კონტექსტი	როდის შეიქმნა? სად და როგორ იქნა ხალხთან გაზიარებული?
	სანდოობა	ეს ფაქტია, მოსაზრება თუ სხვა რამ? რამდენად სანდოა? (რატომ თვლით სანდოდ ან პირიქით)? რა არის ამ ინფორმაციის, მოსაზრების ან მტკიცებულების წყარო?

ასევე შეგიძლიათ მისცეთ დავალებად, ოჯახის წევრებთან ერთად უყურონ და განიხილონ მცირე ანიმაციური ფილმი „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“. ამით ოჯახის წევრების ჩართულობასაც შეუწყობთ ხელს.

ფილმი შექმნილია ჟან ჯოინის მოთხრობის მიხედვით. ქართულადაა გახმოვანებული. მისი ყურება არ მოითხოვს დიდ დროს (30:05 წთ). და ყველაზე მთავარი, ფილმის განხილვა შეიძლება მრავალი საგნისა თუ გამჭოლი კომპეტენციის კონტექსტში.

ამისთვის შეგიძლიათ დახმარე ცხრილიც კი გამოიყენოთ.

©განათლების e- სახლი

საგანი	**შესაძლო დავალებათა ნუსხა**
ქართული ენა და ლიტერატურა	Ø ამოიწერეთ თქვენთვის უცხო სიტყვები თუ საგანთა სახელები. ლექსიკონის დახმარებით მოძებნეთ და განმარტეთ ისინი; Ø ამოწერეთ ყველა მხატვრული შედარება თუ მწერლის ასოციაცია (შეგიძლიათ შექმნათ საკუთარი ასოციაციაც); Ø გარაფიკული ორგანაიზერის გამოყენებით დაახასიათეთ მთავარი პერსონაჟი (დანართი N1) Ø აღწერეთ მთავარი პერსონაჟის საცხოვრებელი გარემო; Ø გააკეთეთ შედარებითი ანალიზი წინანდელი გარემოს ახალ გარემოსთან; Ø ფილმში მოძებნეთ ბიბლიური გამოთქმები და ახსენით, რა კონტექსტით აქვს იგი მწერალს გამოყენებული; Ø ამოწერე შენთვის საინტერესო სიტყვები, წინადადებები, თუ აზრები. ახსენი, რატომ მოგეჩვენა საინტერესოდ; Ø გაავლე პარალელი საკუთარ გამოცდილებასთან ან სხვა ნაწარმოებთან (შეიძლება ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა პრინციც“ გამოდგეს) (დანართი N2)
მათემატიკა	Ø დაადგინე, რომელ წელს ეწვია მწერალი მთავარ პერსონაჟს; Ø დაადგინე რამდენი წლის იყო პერსონაჟი, როცა იგი ამ უკაცრიელ ადგილას დასახლდა; Ø რამდენი წლის იქნებოდა იგი პირველი ან მეორე მსოფლიო ომის დროს; Ø ფილმში მოცემულობის მიხედვით დაადგინე ტყის ფართობი , ნამდვილად შეესაბამება თუ არა მწერლის დაანგარიშებას (3 ჰა); Ø მოძებნე მონაკვეთი ფილმში, სადაც მწერალი ხსნის დარგული ხეებიდან სავარაუდოდ რამდენი ამოვიდოდა, რამდენს გაანადგურებდა მღრღნელები და ქარი. რამდენი გადარჩებოდა (გადაიყვანე პროცენტებში);
გეოგრაფია	Ø ამოიწერე ფილმში ნახსენები გეოგრაფიული ობიექტები; Ø მოძებნე რუკაზე თქვენ მიერ ამოწერილი ობიექტები;

©განათლების e- სახლი

	Ø თავად შექმენი ფილმისთვის რუკა, რომელზეც მიუთითებ შენ მიერ მოძებნილ გეოგრაფიულ ობიექტებსაც; Ø დაადგინე ამ მიდამოებში კლიმატური ცვლილებების განმაპირობებელი ნიშნები და მოვლენები. ახსენი, რამ გამოიწვია ეს ცვლილება?
ისტორია	Ø დაასახელე ისტორიული მოვლენები, რომლებიც ფილმშია ნახსენები; Ø გაიხსენე, რა იცი ამ ფაქტების შესახებ; Ø განმარტე, რას ნიშნავს „დემობილიზაცია“; Ø შექმენი ქრონოლოგიის ხაზი, რომელზეც თანმიმდევრობით დაიტან ფილმში მოცემულ ფაქტებს (დანართი N3).
ფიზიკა	Ø ივარაუდე, რაში დასჭირდებოდათ მეორე მსოფლიო ომის დროს ხის საწვავზე მომუშავე მანქანების გენერატორები და დაადგინე ამ მოწყობილობის მექანიზმი თუ მუშაობის პრინციპი (რა რაოდენობის ხე დასჭირდებოდა გარკვეული ენერგიის წარმოქმნას და სხვა);
ბუნებისმეტყველება	Ø როგორი თესლი უნდა შეირჩეს მცენარის განვითარებისთვის; Ø რატომ ჩაყარა წყალში დასათესად გამზადებული მუხის რკოები პერსონაჟმა? რა ჰქვია ამ პროცესს და რატომ იყო იგი საჭირო? Ø როგორი ნიადაგი სჭირდება სხვადასხვა მცენარეებს და რატომ? Ø ახსენი, რამ გამოიწვია მთებზე ნისლის გაჩენა? წყაროების გაჩენა? ქარის დამშვიდება? ბიოგამრავალფეროვნება? Ø აღწერე ბუნების სასიცოცხლო ციკლი ფილმის მიხედვით; (დანართი N4);
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	Ø დააკვირდი ფილმს და დაადგინე ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება იგი? Ø სახვითი ხელოვნების რომელ ჟანრ(ებ)ს იყენებს მხატვარი ანიმაციის შესაქმნელად? Ø შენი აზრით, რატომ გადაწყვიტა მხატვარ-ანიმატორმა ჟანრების ასეთი ჩანაცვლება? Ø დაეკითხე უფროსებს, როგორ გამოიყურებოდა მათი საცხოვრებელი გარემო ადრე და როგორ გამოიყურება ახლა (ან ინტერნეტის დახმარებით მოძებნე ამის მაგალითები). დაადგინე სხვაობა მათ შორის და გამოიტანე შესაბამისი დასკვნები;

©განათლების e- სახლი

	Ø შეარჩიე დარგი ან ჟანრი და შენთვის სასურველი მასალის გამოყენებით შექმენი ნამუშევარი თემით „ვერგონის მიდამოები ძველად და ახლა“
ეკოლოგიური წიგნიერება	Ø შექმენი პოსტერი, ბუკლეტი ან კედლის გაზეთი, სადაც გარკვეული ტიპის მოწოდება ან გეგმები იქნება დასახელებული, თუ როგორ დავრგოთ, გავზარდოთ და მოვუაროთ ხეებს; (დაწყებითი კლასებისთვის შესანიშნავი მასალა აქვს „კარგ სკოლას“ სათაურით „როგორ დავრგოთ ხე“ (დანართი 5)); Ø იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ კერძო ეზო, შეგიძლიათ ამის მაგალითი გვაჩვენოთ, გნებავთ სურათების დახმარებით, გნებავთ ვიდეოს დახმარებით;
ციფრული წიგნიერება	Ø ჩაწერეთ ვიდეო ინსტრუქცია თქვენთვის სასურველი ხის დარგვის და მოვლის პროცედურის შესახებ; Ø გამოაქვეყნეთ სკოლის გვერდზე ან საკუთარ ბლოგზე, ან ინტერნეტ სივრცეში, რომელიც დაცულ გარემოს წარმოადგენს; Ø შეგიძლიათ მოიძიოთ მსგავსი ტიპის ვიდეო ინსტრუქციები სანდო ინტერნეტწყაროდან, გამოიყენოთ როგორც დახმარე რესურსი, მაგრამ არ დაგავიწყდეთ წყაროს მითითება (პლაგიატი დაუშვებელია);

... და ბოლოს, შეგროვებული მასალით (ბუკლეტები, აფიშები, აბრები, თუ კედლის გაზეთის ფოტოები), მოსწავლეთა ნებართვის საფუძველზე, მცირე სარეგისტრაციო პროცედურის გავლის შემდეგ, შეგიძლიათ მოაწყოთ ვირტუალური გალერეა/გამოფენა www.artsteps.com პროგრამაში. გარწმუნებთ, საოცარ შეგრძნებებსა და ინტერესს აღძრავს დამთვალიერებელში.

დანართი N1 – პერსონაჟის რუკა



დანართი N2 – პარალელები (კავშირების დამყარება)



პარალელები
(კავშირების დამყარება)

მოსწავლე _____

თარიღი _____

ტექსტის სათაური: _____

ინსტრუქცია: კითხვის დროს დაიკავშირე ტექსტში მოცემული ინფორმაცია შენს გამოცდილებასთან, სხვა ტექსტებთან, გარესამყაროსთან.

ტექსტში წერია . . .	ჩემი გამოცდილება
ტექსტში წერია . . .	სხვა ტექსტები
ტექსტში წერია . . .	გარესამყარო

დაფიქრდი, როგორ დაგეხმარა ეს პარალელები ტექსტის გააზრებაში.



დროის ღერძი

მოსწავლე _____

თარიღი _____

ინსტრუქცია: წაიკითხე ტექსტში განთავსებული მოვლენები თანმიმდევრობის მიხედვით. შეგიძლია მიუთითო კონკრეტული თარიღი/დრო, თუ ტექსტი იძლევა ამის საშუალებას.

დანართი N3- დროის ღერძი

დანართი N4 – ციკლის რუკა



ციკლის რუკა

მოსწავლე _____

თარიღი _____

ინსტრუქცია:

ჩაწერე ცენტრში ციკლის დასახელება (მაგ., პეპლის განვითარება).

- ზედა კვადრატში ჩაწერე ციკლის პირველი საფეხური.
- მომდევნო კვადრატებში თანმიმდევრულად ჩაწერე საფეხურების აღწერა.

დანართი N5 – „როგორ დავრგოთ ხე“

როგორ დავრგოთ ხე

დაგირგავს ოდესმე ხე? თუ ჯერ არ გიცდია, ეს ტექსტი დაგეხმარება ხის სწორად დარგვაში.

ამბობენ, რომ ხის დარგვა მისი მეორედ დაბადებაა. ამ კეთილ და სასარგებლო საქმის გაკეთებას შენც **იოლად** შეძლებ. ამისათვის საჭიროა ზუსტად დაიცვა ხის დარგვის წესები. ახალ გარემოში ნერგს გახარება რომ არ გაუჭირდეს, გაეცანი ქვემოთ მოცემულ მითითებებს. აქ **დეტალურად** არის აღწერილი, როგორ უნდა მომზადდეს ნიადაგი ხის დასარგავად. აქვე ნახავ, რომელ სეზონზე ჯობია ხის დარგვა. ასევე გაიგებ, რა მანძილი უნდა იყოს ნერგებს შორის და სხვ.

მითითებები:

შეარჩიე ადგილი, სადაც ხის დარგვას აპირებ.

შემდეგ გადახედე რგვის კალენდარს. რგვის კალენდარში წერია, რომელი ხის დარგვა როდის შეიძლება. იცოდე, რომ ნერგად მხოლოდ ორი-სამი წლის ხე გამოდგება. ხე უკეთესია დარგო შემოდგომაზე ყინვის დაწყებამდე. ნერგებს შორის მანძილი ორი მეტრი მაინც დატოვე. ასე ისინი გაზრდაში ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან.

დარგვამდე ერთი-ორი დღით ადრე ჯერ ნიადაგი მორწყე. შემდეგ ამოთხარე ორმო და გააფხვიერე მიწა. გახსოვდეს, ორმო ნერგის ფესვების მოცულობაზე 3-ჯერ ფართო და 2-ჯერ ღრმა უნდა იყოს.

დარგვის წინ დაათვალიერე ნერგი. თუ ფესვის რომელიმე ნაწილი დაზიანებულია, უნდა მოაცილო. ამით დანარჩენ ნაწილს დაიცავ.

როგორც კი ჩარგავ ნერგს, იგი უნდა გაამაგრო. ამისათვის ორმოს ამოვსებამდე მას უნდა შეუყენო **მყარი** სარი.

ბოლოს, როგორც კი ორმოს მიწით ამოავსებ, ხე აუცილებლად მორწყე.

დაიმახსოვრე!

თუ ყინვაა, ნორჩი ხის დარგვა არ შეიძლება. ასეთ დროს რამდენიმე წესი უნდა დაიცვა. ჯერ გაამზადე თხრილი. შემდეგ ხე შიგ ჩააწვინე. ბოლოს ფესვები და ტანის ნაწილი მიწით დაუფარე. შეგიძლია მიწის ნაცვლად ქვიშა გამოიყენო. მთავარია, ფოთოლცვენამდე ხემ მთელი ზამთარი თხრილში გაატაროს. იცოდე, როგორც კი მას **კვირტები** გამოუვა, უნდა გაასწორო, თორემ გახმება.

აბა, წარმატებას გისურვებ ხის ზრდა-გახარებაში!

ხის დარგვის წესებიდან რომელია შენთვის უფრო რთული? რატომ?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტექსტის პირველ აბზაცში მითითებულია:

ა) რა მანძილით უნდა დავაშოროთ ნერგები ერთმანეთს.

ბ) რისთვის არის საჭირო ხის დარგვის წესების დაცვა.

გ) რომელ სეზონზეა უკეთესი ხის დარგვა.

2 ორმოს გათხრამდე ორი დღით ადრე:

ა) ნიადაგი გულდასმით უნდა მორწყო.

ბ) ნიადაგი კარგად უნდა გააფხვიერო.

გ) ნიადაგს ქვიშა უნდა დააყარო.

3 როგორც კი ორმოში ნერგს ჩარგავ, ჯერ:

ა) კარგად მორწყე.

ბ) ორმო მიწით ამოავსე.

გ) სარით გაამაგრე.

4 თუ ყინვის გამო ვერ რგავ ხეს, ჯერ:

ა) იგი თხრილში უნდა ჩააწვინო.

ბ) იგი სწორად უნდა დადგა.

გ) იგი ქვიშით უნდა დაფარო.

5 რის შესახებ <u>არ არის</u> საუბარი ტექსტში?

ა) რა დანიშნულება აქვს რგვის კალენდარს.

ბ) რამდენი წლის ხის დარგვა შეიძლება.

გ) როგორ უნდა გააფხვიერო მიწა ხის დარგვამდე.

©განათლების ე- სახლი

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. აქ **დეტალურად** არის აღწერილი ხის დარგვის წესები.
   ა) დაახლოებით. ბ) დაწვრილებით. გ) მოკლედ.

2. ამის გაკეთება შენც **იოლად** შეგიძლია.
   ა) კარგად. ბ) მარტივად. გ) სწრაფად.

3. ხეს შეურჩიე **მყარი** სარი.
   ა) დაბალი. ბ) მაგარი. გ) სწორი.

2 შეაერთე ხაზებით საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

ადრე — უკან
წინ — შემდეგ
ახლა — გვიან

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) კეთილი — ბოროტი. ბ) ნორჩი — ახალამოსული. გ) ფართო — ვიწრო.

გრამატიკა

1 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა სწორი ფორმით.

მე არაფერი ვიცოდი რგვის (კალენდარი) -------------------- შესახებ.

2 წინადადებებში სწორად ჩასვი გამოტოვებული სიტყვები.

1. ფესვები უნდა დაიცვა ------------------------. *(დაზიანებიდან / დაზიანებისაგან)*
2. -------------------- მითითებების დაცვა აუცილებელია. *(მოცემულ / მოცემული)*

3 დაწერე მრავლობით რიცხვში.

ხე – ---------------------------- საქმე – ------------------------

დღე – ------------------------ მცენარე – -------------------------

©განათლების e- სახლი



▶▶▶ გრამატიკა

4 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	☒ ერთთორი.	☐ ერთი-ორი.
1.	☐ ნაცვლად.	☐ ნაცვლათ.
2.	☐ რამდენიმე ნესები.	☐ რამდენიმე ნესი.
3.	☐ მეორედ.	☐ მეორეთ.
4.	☐ სველ ქვიშით.	☐ სველი ქვიშით.

5 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ის, რაც მომზადდა, არის მომზადებული.

1. ის, რაც დაიწყო, არის ---------- . 2. ის, რაც მოუთითეს, არის ---------- .

▶▶▶ წერა

ნარმოიდგინე, რომ მეგობარმა გთხოვა ურჩიო, როგორ დარგოს ფოთლოვანი ხე. დაუწერე ხის დარგვის წესები. ყოველი ნაბიჯი ჩამოაყალიბე მოკლედ. გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატებით.

ნაბიჯი 1. შეარჩიე ადგილი ხის დასარგავად.	**ნაბიჯი 2.** რგვის კალენდრის მიხედვით სწორად შეარჩიე დრო.	**ნაბიჯი 3.**	**ნაბიჯი 4.**
ნაბიჯი 5.	**ნაბიჯი 6.**	**ნაბიჯი 7.**	**ნაბიჯი 8.**

4

გამოყენებული რესურსი:

- ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024;
- მედიაწიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2018
- საგანმანათლებლო პორტალი : http://kargiskola.ge/
- ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა – https://youtu.be/eU6j-4QwGVY
- ექვილიბრიუმი – https://youtu.be/GEtg8PwyOfo